



ენერგომბუდსმენის აპარატში მომხმარებელთა მომართვიანობა მესამე კვარტალშიც მკვეთრად გაიზარდა. მიმდინარე წელს სამსახურს 6912 მოქალაქემ მიმართა, რაც საზოგადოებრივი დამცველის აქტიური საგანმანათლებლო საქმიანობით არის განპირობებული. მომხმარებლებისთვის გათვალისწინებულია სრულყოფილი სამართლებრივი კონსულტაცია და დახმარება.

წინა წელთან შედარებით მოიმატა რეგისტრირებულ განცხადებათა რიცხვმაც. ამ დროისათვის სამსახურში უკვე ფიქსირდება 3841 განცხადება, რომლებიც სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

წყალმომარაგება - 2245

ელექტროენერგეტიკა - 1226

ბუნებრივი გაზი - 370

ენერგომბუდსმენმა 1516 რეკომენდაცია გაუზიარა ენერგოკომპანიებს და 535

შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების უდიდესი ნაწილი დაკმაყოფილდა კომპანიების მიერ, რაც დადებითად აისახა მომხმარებელთა უფლებებზე. შედეგად მომხმარებელთა პირადი აღრიცხვის ბარათებიდან რეკომენდაციების დაკმაყოფილების საფუძველზე ჩამოიწერა 1.062.075, 19 ლარი.

ასეთივე მაღალი პროცენტულობით დაკმაყოფილდა საზოგადოებრივი დამცველის შუამდგომლობები სემეკის საჯარო სხდომებზე და შედეგად ჩამოიწერა 2.174.011,27 ლარი.

ამ დროისათვის, ჩამოწერილი თანხების ჯამი შეადგენს 3.236.086,46 ლარს.

ენერგომბუდსმენის აპარატი აქტიურად ადევნებს თვალს კომპანიების მუშაობას, მათ დამოკიდებულებას მომხმარებლებთან, მიწოდებული სერვისის ხარისხს, ფინანსური სანქციების გამოყენების კანონიერებას და განაგრძობს აქტიურ მუშაობას, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ყოველი მომხმარებლის უფლება და კანონიერი ინტერესი.